community

The New Apostolic Church around the world

01/2015/GE

წლის დევიზი 2015:

ქრისტეში სიხარული

გამოცდა, ცვლილება
განახლება:
ღვთისმსახურება
ლუქსემბურგში

მცირე კატეხიზმო:
კითხვები და პასუხები

New Apostolic Church
International

მსოფლიო მასშტაბით

საერთაშორისო ახ.ს.ევ.

საყვარელო და-ძმანო მთელ მსოფლიოში,

მიხარია, რომ ახალსამოციქულო ეკლესიის ახალი საერთაშორისო საწევრო ჟურნალის პრეზენტირება შემიძლია თქვენთვის: „კომიუნიტი“, რომლის პირველ გამოცემასაც სწორედ ახლა კითხულობთ, დღეიდან კვარტალში ერთხელ გამოვა და დაიბეჭდება ან შეძლებისდაგვარად, ონლაინით მიაღწევს თვითეულ ოჯახს მსოფლიო მასშტაბით.

ინგლისურენოვანი სათაური „community“ სამგვარი გაგებით ერთგვარ პროგრამას წარმოადგენს.

- კომუნიკაცია (ინგლ: „კომიუნიკეიშენ“): საყვარელო და-ძმანო, ახალი საწევრო ჟურნალი იმაში უნდა დაგვეხმაროს, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციები - იქნება ეს ღვთისმსახურებებიდან, მოძღვრებასთან, აქტუალურ მოვლენებთან თუ ეკლესიის განვითარებასთან დაკავშირებით - შეძლებისდაგვარად, ყველა მორწმუნემდე მივიდეს.

- ერთობა (ინგლ: „იუნიტი“): ჩვენ ერთი რწმენა და ერთი მიზანი გვაქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოძღვრებაში და მის ყოველდღიურ გამოყენებაში ისე, როგორც ამას ღვთისმსახურებაზე ვისმენთ, შეძლებისდაგვარად, ყველა ერთ დონეზე ვიმყოფებოდეთ. მაშ, მოდით, გავამყაროთ საერთაშორისო ეკლესიის ფუნდამენტი და ხელი შევუწყოთ ერთობას.

- ერთიანობა (ინგლ: კომიუნიტი“): ჩვენ წარმოვადგენთ საერთაშორისო ერთიანობას საზოგადოებრივად და კულტურულად განპირობებული მრავალი განსხვავებებით. თემთა მრავალფეროვანი ცხოვრების შესახებ ამბებმა მთელ დედამიწაზე თავისი წვლილი უნდა შეიტანოს იმაში, რომ უკეთ გავიცნოთ და გავუგოთ ერთურთს. ამდენად, საერთაშორიშო თემი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვდეს და შეეზარდოს ერთმანეთს, ვიდრე აქამდე.

შეიძლება ზოგიერთმა თქვენგანმა ჟურნალ „ჩვენი ოჯახის“ გამოცემა მოისაკლისოს მშობლიურ ენაზე. მაგრამ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ გზით ვერ მივაღწევდით იმდენ და-ძმამდე, როგორც გასულ ათწლეულებში. ამიტომაც 2013 წლის შემოდგომაზე სამხ. მოციქულთა კრებამ კანადაში ახალი საკომუნიკაციო კონცეფცია მიიღო. საწევრო ჟურნალ „კომიუნიტისთან“ ერთად ამაში შედის ონლაინ - ახალი ამბების ჟურნალი nac.today, რომელიც ახალსამოციქულო სამყაროს სიახლეებს მოგაწვდით.

დაე, ამ სიახლემ - ვრჩებით რა ერთგული წლის ატუალური დევიზისა: „ქრისტეში სიხარული“ - გაგვაძლიეროს და დაგვეხმაროს, რომ კიდევ უფრო მივუახლოვდეთ ჩვენს საერთო მიზანს. იმედია, ასე დაიწყებთ ახალ წელს, თუმცა უკვე აღარც არის ახალი, და გისურვებთ დიდ სიხარულს მომავალ თვეებში და ყოვლისშემძლე ღმერთის კურთხევას.

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

გამოცდა, ცვლილება, განახლება

ფოტოები: მარსელ ფელდე

2015 წლის 11 იანვრის ღვთისმსახურება ლუქსემბურგში

ციტატა რომ. 12, 2-დან

„ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენ იგონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“ (რომ. 12, 2)

საყვარელო და-ძმანო, ძვირფასო სტუმრებო, აქ და შემოერთებულ თემებში. მიხარია, რომ დღეს ჩემს ძმებთან და დებთან ლუქსემბურგში ყოფნის შესაძლებლობა მომეცა და, რომ წელს, რომელიც ქრისტეში სიხარულის წელი უნდა იყოს, კიდევ ერთი ნაბიჯით წავალთ წინ. ზოგიერთებმა უკვე მითხრეს: „კარგად იწყება არა სიხარულის ეს წელი? ნახე, რამდენი რამ მოხდა?“ მაგრამ, და-ძმანო, ყველაფრის მიუხედავად ჩვენ მაინც ამ პოზიციაზე ვრჩებით: მოდით, გავიხაროთ წელს ქრისტეში.

და ეს ჩვენ შეგვიძლია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საყვარელი ღმერთი კვლავაც გაგვიკეთებს კარგ საჩუქრებს, რაც სიხარულს მოგვიტანს. ასე იქნება მაშინაც, როცა მძიმე დღეები დაგვიდგება, რაც ყველა ჩვენთაგანს ელის წინ. ერთხელაც ყველას დაუდგება მძიმე დღე - წელსაც. მაგრამ მაინც უნდა გავიხაროთ. ამას მხიარულებასა და ქება-დიდებასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ იმის შეგრძნებას შევძლებთ, რომ უფალი იესო სწორედ განსაცდელის ჟამს არის ჩვენთან ძალიან ახლოს. ხოლო როცა კაცი ამჩნევს, რომ ღმერთი მასთან ძალიან ახლოა, განსაკუთრებული სიხარული ეფინება მას.

სიხარულის მიზეზი ყოველთვის გვაქვს - როგორც კარგ, ასევე ნაკლებად კარგ დღეებში - და ეს მიზეზი თავად უფალმა იესომ დაასახელა: „არამედ გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი“ (ლუკ. 10, 20-დან). გუშინ ბავშვებს იმაზე ველაპარაკებოდით, თუ რა არის ცა. ეს საინტერესო დისკუსია იყო. ახლა არ მინდა ამაზე შევჩერდე. თქვენ ხომ თავადაც შეგიძლიათ გაიაზროთ ეს. „გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი“. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი იესო ჩვენთვის მოკვდა და, რომ ღმერთთან თანაზიარებაში შესვლა შეგვიძლია. ის ჩვენზე წინ წავიდა: „როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ“ (იოან. 14, 3). როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს? ზოგჯერ ბავშვებს ვეუბნები ხოლმე, რომ ეს ძალიან ადვილია: ზოგიერთი ღონისძიების დროს, მაგ. დიდი ღვთისმსახურების დროს, ვინმეს წინასწარ აგზავნიან და სთხოვენ: ადგილი შემინახეო! ეს ადამიანი თავისუფალ ადგილზე საგალობელთა კრებულს ან ჩანთას, ან რაღაც მსგავს საგანს დებს. და როცა ვინმე მოდის, ის ეუბნება, რომ ადგილი დაკავებულიაო. „როგორ?“ კითხულობს მომსვლელი, მას კი პასუხობენ: „დიახ, ეს ადგილი ჩემს მეგობარს დავუკავე!“ ანუ მისთვის ადგილს ინახავენ. და როცა ეს მეგობარი გამოჩნდება, ეუბნებიან: „ეს არის შენი ადგილი“. ზუსტად ასე მოიქცა უფალი იესო შენთვის. ის მამასთან დაბრუნდა და ჩემთვის და შენთვის ადგილს ინახავს და ამბობს: „ეს ჩემი ძმის ადგილია, ეს ჩემი დის ადგილია, ერთი ერთის არის, მეორე - მეორის.“ ჩვენი სახელები ცაშია ჩაწერილი, რადგან უფალმა იესომ თვითეული ჩვენთაგანისათვის ადგილი შეინახა ღმერთთან თანაზიარებაში. ხოლო, როცა კაცი ამაზე ფიქრობს, ისევ უჩნდება სიხარულის მიზეზი.

> „ჩვენი სახელები ცაშია ჩაწერილი, რადგან უფალმა იესომ თვითეული ჩვენთაგანისათვის ადგილი შეინახა ღმერთთან თანაზიარებაში.“

მე თქვენ წაგიკითხეთ კარგად ნაცნობი, მაგრამ თანადროული სიტყვა. პავლე რომაელებს სწერს: „ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით ...“ სიტყვა „წუთისოფელთან“ მიმართებაში გვახსენდება ბოროტება, ცუდი ადამიანები და ყველაფერი ამდაგვარი. აქ ამაზე არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია დროზე, დროის სულზე. პავლეს ამით იმის თქმა უნდა, რომ, ერთი მხრივ, გვყავს ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელიც არასოდეს იცვლება. მას არ სჭირდება ცვლილება, ის სრულქმნილია. ის არც რაიმე მოვლენის ზეწოლის ქვეშ იცვლება. მის საქმესა და ქცევაზე გავლენას ვერ ახდენს ის, რაც დედამიწაზე ხდება. ასეთია ღმერთი. „მე, უფალი, არ ვიცვლები“ (მალაქ. 3, 6). ხოლო, მეორე მხრივ, გვყავს დროის სული, რომელიც იმის გამოხატულებას წარმოადგენს, რომ კაცობრიობა მუდმივად იცვლება. ნება მიბოძეთ, ორი პუნქტი დავასახელო: ურთიერთობა ღმერთთან და ურთიერთობა მოყვასთან. ეს ურთიერთობები მუდმივად იცვლება. როცა ადამიანი კარგად არის, მას არც ისე ხშირად სჭირდება ღმერთი. მაგრამ როცა ცუდად არის, მაშინვე მასთან გარბის: „ღმერთო, უნდა მიშველო!“ იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა მეორე ადამიანი და რა ხდება დედამიწაზე, ადამიანებს შორის ურთიერთობებიც იცვლება. ხან ყველა კარგია და თავაზიანია, ხან კი მოყვასი ყველაზე საშინელი მტერია. ეს მუდმივი ცვალებადობაა. მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენის მიხედვით იცვლება ურთიერთობა ღმერთთან, იცვლება ურთიერთობა მოყვასთან, იცვლება შეხედულებები და დამოკიდებულება ჭეშმარიტების მიმართ. პავლე ამბობს: „ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცანით, რა არის ღვთის ნება.“ ის მოგვიწოდებს: „დაეყრდენით ღმერთს“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ნუ მისცემთ დროის სულს თქვენი დაპყრობის საშუალებას! ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან უცვლელი უნდა დარჩეს. მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმა ზეგავლენა ვერ უნდა მოახდინოს ჩვენს ურთიერთობაზე მოყვასთან. ჩვენი ამოსავალი წერტილი ყოვლისშემძლე ღმერთია . ჩვენ ვეყრდნობით მას, ვეყრდნობით იმას, რაც მას სურს, რასაც ის ამბობს; მისი ჭეშმარიტება ჩვენი ჭეშმარიტებაა. ჩვენ არ ვექცევით უმრავლესობის აზრის გავლენის ქვეშ. და როცა მთელი ქვეყნიერება ამასა თუ იმას სხვაგვარად უყურებს, ჩვენ ვამბობთ: „ვწუხვართ, მაგრამ ჩვენ ღმერთს ვეყრდნობით, ღვთის მცნება კი ჯერ არ შეცვლილა. თქვენთან ერთად ვერ ვიქნებით.“ ძალიან მცირე გუნდიც რომ ვიყოთ, რაც პრინციპში არ ვართ, ჩვენ - როგორც ქრისტიანები, როგორც მორწმუნე ადამიანები - ღმერთს ვეყრდნობით. არ შეიძლება ამის თქმა: „მაგრამ ყველა ხომ ასე

მოციქული იენს ლიდემანი
(ჰესენი/რაინლანდ-პფალც-ზაარლანდი)
სიტყვის წამოთქმისას

აკეთებს, ყველა ხომ ასე უყურებს ამას!“ არა, პავლე ამბობს: უნდა შეიცნოთ, ეს თქვენს პასუხისმგებლობაშიაო. მე ვარ პასუხისმგებელი ჩემს ურთიერტობაზე ღმერთთან, ჩემს ურთიერთობაზე მოყვასთან. ჩემი ამოცანაა, შევამოწმო, ემთხვევა თუ არა ეს ღვთის ნებას.

„შეიცანით, რა არის ღვთის ნება ... კერძოდ, კეთილი.“ რა არის კეთილი? პავლე ამბობს: კეთილი ღვთის რჯულია, მცნებები, რომლებიც ღმერთმა მოსეს მისცა (რომ. 7, 12). თავდაყირაც რომ დადგეს სამყარო, ჩვენი ამოსავალი წერტილი ეს უნდა იყოს. და ეს ყოველთვის აქტულაურია. სიყვარულის მცნებაც რჯულს განეკუთვნება. „გიყვარდეს ღმერთი“ და „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. იესომ თვალსაჩინოდ ახსნა, თუ რას ნიშნავს მოყვასის სიყვარული, როგორც საკუთარი თავისა. მან თქვა: „ამიტომ, ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ (მათ. 7, 12). აი ასე, მარტივად. ეს ეხება ყველა დროს და ყველა გარემოებას, დღესაც, 2015 წელს, ევროპაში, აფრიკაში, ამერიკაში. ისევ და ისევ თავად უნდა შევიცნოთ: ეს კვლავაც ასეა? ისევ იგივე განწყობა მაქვს? რა არის კეთილი? კეთილი ღვთის რჯულია, ათი მცნება, ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის მცნება.

შემდეგ ნათქვამია: „შეიცანით, რა არის ღვთის ნება ... კერძოდ, სასურველი“; ამან იმაზე უნდა დაგვაფიქროს, თუ რა არის უფლისათვის სასურველი. ზოგჯერ მოწაფეებს ეგონათ, რომ ისე იქცეოდნენ, როგორც ამას იესო მათგან მოელოდა, მაგრამ ცდებოდნენ. უფალი იძულებული გახდა, ეთქვა მათთვის: ასე არ შეიძლებაო. მოწაფეები მიხვდნენ, თუ რაში მდგომარეობდა მათი ამოცანა. მათი ამოცანა რჯულისამებრ მოქცევა იყო, მათი ამოცანა უფლისათვის მსახურება იყო, მათი ამოცანა რწმენის უწყება და დაცვა იყო. ასე გაიგეს მათ მათზე დაკისრებული ამოცანა და ეს სწორი იყო. მაგრამ შემდგომში სწორ პრიორიტეტებს მაინც არ სვამდნენ. გაიხსენეთ პეტრე. მან თავისი ამოცანა ისე გაიგო, რომ უფალი უნდა დაეცვა მას. როცა ჯარისკაცები უფლის შესაპყრობად მივიდნენ, ამოიღო მახვილი და ერთ-ერთ მონას ყური ჩამოათალა (იოან. 18, 10). ამ დროს იესო იძულებული გახდა, ეთქვა: „არა, ეს არ არის ჩემთვის სასურველი. ასე ვერ დამიცავ!“ დასკვნა: ღვთისათვის არ არის სასურველი, როცა რწმენის უწყებისა და დაცვის მიზნით მოყვასს გულს ვტკენთ. ჩვენს საზოგადოებაში ამის კვლავ და კვლავ გამეორება დღესაც საჭიროა. ეს არ არის ღვთისათვის სასურველი და ეს ჩვენც გვეხება.

> „ღვთისათვის არ არის სასურველი, როცა რწმენის უწყებისა და დაცვის მიზნით მოყვასს გულს ვტკენთ.“

და კიდევ, იოანე ერთხელ უფალთან მივიდა და უთხრა: „მოძღვარო, ჩვენ ვნახეთ კაცი, რომელიც შენი სახელით ეშმაკებს დევნის, ჩვენ კი არ მოგვყვება. და ავუკრძალეთ მას, რადგან ჩვენ არ მოგვყვება (მარკ. 9, 38). იოანე აღშფოთებული იყო. მაგრამ უფალმა მიუგო: „ნუ უკრძალავთ ... ვინაიდან, ვინც ჩვენი წინაარმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის“ (მარკ. 9, 40). იოანე ამან ალბათ გააოცა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ კარგი გააკეთა. შეიძლება ეგონა, რომ უფალი შეაქებდა და ეტყოდა: კარგად მოქცეულხარო. - მაგრამ უფალმა ამას სულ სხვა კუთხით შეხედა.

ხშირად მიფიქრია ამ შემთხვევაზე. მაგ., არის ვიღაც, ვინც

ზემოთ: შერეული გუნდის მგალობლები
მარცხ: მოციქული რუდოლფ კაინცი
(ავსტრია) თანაქადაგებისას

არ მიჰყვება უფალს; მართალია, უფალში ის ღვთის ძეს ვერ ხედავს, მაგრამ სიკეთის კეთება უნდა; გაუკეთებია კიდეც, დახმარებია თანამოძმეს. ეშმაკები განუდევნია ან სასწაულები მოუხდენია. როგორც ჩანს, ღმერთი ამ დროს მასთან იყო და ინსტრუმენტად გამოიყენა იგი იმ მიზნით, რომ სხვებისათვის სიკეთე გაეკეთებინა მას და ამ დროს ის არასოდეს ყოფილა იესოს მიმდევარი, თუმცა უფალმა თქვა, რომ ყველაფერი კარგად არისო.

ბევრი ადამიანია დედამიწაზე, ვინც არ იზიარებს ჩვენს რწმენას, არც იესო ქრისტეს მიმართ რწმენას - მათ არ სწამთ, რომ ის ღვთის ძეა. მიუხედავად ამისა, ცდილობენ, რომ სიკეთე გაუკეთონ მოყვასს და ემსახურონ ღმერთს. სიკეთის გასაგეთებლად ღმერთი მათ ინსტრუმენტად იყენებს. ამ ადამიანებისათვის „სასურველი“ არ იქნებოდა, თუ არ დავაფასებდით მათ, შევიძულებდით ან სულაც თავს დავესხმოდით. ეს მე არ მომიგონია, ეს უფლის სიტყვებიდან გამომდინარეობს.

ამ ადამიანების დაფასებით ჩვენს რწმენაში არაფერი შეიცვლება. ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი და იმ გზით მივდივართ, რომელიც ხსნამდე მიდის. ჩვენ გვწამს ქრისტეს მეორედ მოსვლისა, ჩვენ გვწამს მოციქულობისა. ამიტომაც არ უნდა მოვიძულოთ სხვები, ვიცით რა, რომ ღმერთს სხვა ადამიანებთანაც შეუძლია იმუშაოს, დაეხმაროს და

აკურთხოს ისინი, მათ კი სიკეთის კეთება შეუძლიათ. ღმერთისათვის სასურველი მისი პატივისცემაა. და კიდევ, როცა იოანემ დაინახა, რომ სამარიაში იესო არ მიიღეს, უთხრა: „უფალო, თუ გინდა, ვიტყვით, რომ ცეცხლი ჩამოვიდეს ციდან და მოსპოს ისინი“ (ლუკ. 9, 54). მაგრამ იესომ გაკიცხა მოწაფეები ამის გამო. არც ეს იყო მისთვის სასურველი. მას არ უნდოდა, რომ იძულებით მიეღო იგი ხალხს ასეთი მუქარით: „თუ ასე არ მოიქცევით, ციდან ცეცხლი ჩამოვარდება!“

ღვთისათვის არ არის სასურველი, როცა ხალხის მოტივირება მუქარითა და დაშინებით სურთ. ღმერთი და მოყვასი უნდა გვიყვარდეს. ეს მცნება სწორად უნდა გვესმოდეს და ისე ვახორციელებდეთ მას. უფალმა იესომ გასაგებად თქვა, რომ ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან დამოკიდებულია ჩვენს ურთიერთობაზე მოყვასთან. ერთი მეორისაგან განუყოფელია. მან ეს ამ სიტყვებით ახსნა: „თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს მიმართ, მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი, მერე მოდი და შესწირე შენი ძღვენი“ (მათ. 5,

მარჯვ: პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი და-ძმებთან ერთად ღვთისმსახურების შემდეგ

ქვემოთ: შერეული გუნდის გალობა ღვთისმსახურების დროს

23. 24). არ შეიძლება, ემსახურებოდე ღმერთს და გძულდეს მოყვასი, ან გადამტერებული იყო მასზე. ღვთის სიყვარული და მოყვასის სიყვარული ერთი განუყოფელი მთლიანობაა.

იესომ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ვერ შევძლებთ იმის გარკვევას, თუ ვინ არის ჩვენი მოყვასი. ისე კი კარგი იქნებოდა. იმას, თუ ვინ უნდა მიყვარდეს, მე ვსაზღვრავ. - უფალი კი საზღვრავს იმას, თუ ვინ არის შენი მოყვასი! მოყვასია ის, ვინც ავადმყოფობს, ვინც საპყრობილეშია და, წარმოიდგინეთ, ასევე უცხო, რომელიც მთლიანად განსხვავდება ჩვენგან, სხვა კულტურის მატარებელია, სხვა რწმენის, სხვა შეხედულების (მათ. 25, 35-40). უნდა გვიყვარდეს ის! შენ თვითონ ვერ განსაზღვრავ, თუ ვინ არის შენი მოყვასი. მოყვასი ის არის, ვინც ღმერთმა გვერდში დაგვიყენა. ცხადია, ვიდრე უცხო თავის ქვეყანაშია, შორს ჩვენგან, ის უყვართ. მაგრამ ახლა ღმერთმა გადაწყვიტა, რომ შენს სოფელში, შენს ქალაქში უნდა იცხოვროს სნეულმა, ღარიბმა, მსჯავრდებულმა, უცხომ. ღმერთმა ინება ასე. ახლა ის არის შენი მოყვასი. მაშ, შეიცანი, რა არის ღვთისათვის სასურველი!

როგორც ვხედავთ, ჩვენი რწმენა, ახალსამოციქულო რწმენა, საკმაოდ კონკრეტული რამ არის. იგი ასევე ძალიან მალე ხდება პრაქტიკულიც. უნდა გვიყვარდეს ის, ვინც ღმერთმა გვერდში დაგვიყენა.

იესომ ისიც ნათლად ახსნა, რომ მოყვასისათვის მსახურება ვერ შეცვლის ღვთისათვის მსახურებას. ორივე ერთმანეთს განეკუთვნება. ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ, თუ ისინი მოყვასს გაუწევენ სამსახურს, მაშინ ღვთისათვის მსახურება აღარ დასჭირდებათ. არც ეს შეიძლება. თქვენ იცით, რომ, როცა მარიამმა ძვირფასი ნელსაცხებელი მიიტანა და იესოს ფეხებზე სცხო, ერთ-ერთმა მოწაფემ თქვა: „რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და ღარიბებს არ დაურიგდა?“ ამაზე იესომ უპასუხა: „დაანებე თავი, მან ჩემი დამარხვისათვის გადაინახა იგი. რადგან ღარიბები ყოველთვის თქვენთანა გყავთ, მე კი ყოველთვის არ გეყოლებით“ (იოან. 12, 1-8). მოყვასისათვის მსახურება არ არის ღვთისათვის მსახურების შემცვლელი. ორივე უნდა გააკეთოს კაცმა. ეს სასურველია ღვთისათვის.

„შეიცანით, რა არის ღვთის ნება ... კერძოდ, სრულყოფილი.“ სრულყოფილი ღმერთია, მას არ სჭირდება შეცვლა, მას არ სჭირდება მისადაგება. ჩვენ კი არასრულყოფილნი ვართ და სულ უნდა შევიმეცნებდეთ იმას, თუ რა უნდა შევცვალო ჩემში. და ეს არა იმისათვის, რომ დროის სულს მივესადაგო, არამედ იმისათვის, რომ ღვთის სრულყოფილებას შევეწონო. ამდენად, ყოველთვის კითხვები უნდა დავუსვათ საკუთარ თავს, და ეს ეხება როგორც ეკლესიას, ასევე თვითეულ ჩვენთაგანს: რა არის ღვთის ნება? რა სურს უფალ იესოს? საჭიროების შემთხვევაში უნდა მივესადაგოთ მას, რადგან ვხედავთ, რომ ღმერთი ერთი ნაბიჯით გვისწრებს; რადგან ვაცნობიერებთ, რომ ბოლომდე ვერ ვხვდებით, თუ რა სურს ღმერთს. პეტრესაც იგივე დაემართა. მას ეგონა, რომ ხსნა ისრაელისთვის იყო განკუთვნილი. მივლინების პირველი ბრძანებაც შესაბამისად ჟღერდა: „მიდით ისრაელის შვილებთან - არა სამარიელებთან“ (მათ, 10, 5). მაგრამ მერე ღმერთმა დაანახა მას, რომ ის წარმართებთანაც უნდა მისულიყო. ამ შემთხვევაში პეტრეს თვისი შეხედულება უნდა შეეცვალა. ასევეა ეკლესიის შემთხვევაშიც. ისევ და ისევ უნდა შევამოწმოთ, შეესაბამება თუ არა ჩვენი მოძღრება ღვთის ნებას, არის თუ არა ცვლილების შეტანის საჭიროება მასში. როცა მივხვდებით, რომ ახლა კი უკეთ გვესმის უფალ იესოსი, მაშინ ცვლილებებიც უნდა განვახორციელოთ, უნდა მივესადაგოთ მას, რადგან იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ის, რასაც ვქადაგებდით, აღარ შეესაბამება ღვთის ნებას. მართალია, მცდარი არ იყო ის, მაგრამ დროთა განმავლობასი მივხვდით, რომ ღვთის ნება წინ მიდის. ამდენად, სწორედ ჩვენ, პატარა ადამიანები, უნდა მივესადაგოთ მას.

და ის, რაც ეკლესიას ეხება, ეხება თვითეულ ჩვენთაგანს. არ შეიძლება ტრადიციებში ჩავრჩეთ და ვთქვათ: „ყოველთვის ასე ვიქცეოდით.“ ისევ და ისევ უნდა დავუსვათ საკუთარ თავს კითხვები: როგორ დამოკიდებულებაში ვარ ღმერთთან, როგორ დამოკიდებულებაში ვარ მოყვასთან? რისი შეცვლა შემიძლია და რა უნდა შევცვალო? ეს სასიამოვნო, მართლაც, არ არის - არც ჩემთვის, არც მე მომწონს ეს - მაგრამ აუცილებელია!

ზოგიერთებს აღიზიანებს ცვლილებები. მაგრამ ერთგული მორწმუნისათვის, ვინც სერიოზულად უდგება ამას, სწორედ ეს ცვლილება, ეს მისადაგება, კითხვების დასმა, მუდმივი გამოცდა, წარმოადგენს დიდი სიხარულის წყაროსა და მიზეზს. ამიტომაც ძალიან მარტივია ეს, შემდეგ კი უფალი იესო გვეტყვის: „მომწონს, როგორც იქცევი, და გაკურთხებ!“

ძირითადი აზრები

აქტუალურმა მოვლენებმა და ჩვენმა გარემომ გავლენა არ უნდა მოახდინოს ჩვენს ურთიერთობაზე ღმერთთან და მოყვასთან. ჩვენ ღვთის ნებაზე ვართ ორიენტირებულნი, ის კი ჩვენგან იმას მოელის, რომ

- გვეყვარება მოყვასი;
- სხვების მიმართ შემწყნარებლობასა და პატივისცემას გამოვიჩენთ;
- თანახმანი ვიქნებით იმაზე, რომ, გამოვსწორდეთ, რათა სრულყოფას მივაღწიოთ.

ფოტო: ოლივერ რიუტენი

კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში

„ეკლესია, რომელიც საკუთარ მოძღვრებას ივიწყებს, სუსტი ეკლესიაა“ - პირველმოციქულის ეს სიტყვები ტულუზაში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პირველმოციქულისათვის, რომ ყველა ახალსამოციქულო ქრისტიანმა იცოდეს სარწმუნოებრივი მოძღვრება. მან მთელი გულითა და სულით ურჩია ერთმორწმუნე და-ძმებს, რომ არ დაეკლოთ მცდელობა ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრების შესასწავლად.

მოძღვრების გავრცელება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც გაითავისა იგი. ამასთანავე, მოძღვრების მარტო ცოდნა საკმარისი არ არის, მასში დარწმუნებულიც უნდა იყოს ადამიანი. ამასთან დაკავშირებით, მან ახლახან გამოსულ კატეხიზმოზე მიუთითა: „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოზე კითხვებსა და პასუხებში“, რომელიც ჩვენს მოძღვრებას გასაგებად ასახავს.

2015 წლისათვის დაგეგმილი გამოცემით: „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ ერთი ნაშრომის ორი ფორმის გამოყენება იქნება შესაძლებელი, რომლებიც სხვადასხვა მოთხოვნებს პასუხობენ.

2012 წელს ძირითად ენებზე გამოსულ კატეხიზმოს მალევე მოჰყვა კიდევ ბევრი თარგმანი. ბეჭდვით გამოცემასთან ერთად კატეხიზმოს ელექტრონული ვარიანტიც მომზდდა. გარდა ამისა, მომზადდა ტექსტები ინტერნეტისათვის. დროის მაჯისცემას აუწყო ფეხი „კატეხიზმო სშექმნამ სმართფონებისა და პლანშეტებისათვის. შინაარსობრივად ყველა ეს გამოცემა სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს.

პირველმოციქულ ლებერის სურვილი იყო, რომ შემუშავებულიყო კატეხიზმოს ის ვარიანტიც, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენებდნენ. ამ ვარიანტმა ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ნაწილობრივ რთული კონტექსტების გაგება უფრო გაადვილდეს. ამ სურვილს უკანასკნელი გამოცემა აკმაყოფილებს: კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში. ამ ნაშრომის შესადგენად კატეხიზმოს ვრცელი რედაქციის ტექსტი 750 კითხვასა და პასუხში ჩამოყალიბდა. ადვილად აღსაქმელი სტრუქტურის მეშვეობით ეს ნაშრომი მღვდელმსახურთა სწავლების მიზნით და საეკლესიო გაკვეთილებში შეიძლება იქნას გამოყენებული მსოფლიო მასშტაბით.

რატომ „კითხვები და პასუხები“?

კითხვებისა და პასუხების სქემა ქრისტიანულ კატეხიზმოებში საუკუნეებია, რაც გამოიყენება და ჩვენს ეკლესიაშიც ხანგრძლივი ტრადიცია აქვს მას. მასში ჩადებული დიდაქტიკური მეთოდები მრავალგზის არის გამოცდილი. მას უკვე დიდი ხანია კონფირმანდების გაკვეთილებზე იყენებენ. ამდენად, კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში გამოყენებულ უნდა იქნას როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. გარდა ამისა, იგი კარგად გამოდგება ზოგადად ქრისტიანული მოძღვრებისა და ჩვენი ეკლესიის სპეციალური მოძღვრებითი გამონათქვამების თვალსაჩინოდ გადმოსაცემად.

პირველმოციქულ ლებერის ინიციატივით „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმომ კითხვებსა და პასუხებში“ გამოსაცდელი ფაზა გაიარა, რამაც საპროექტო ჯგუფს, რომელსაც მისი შედგენა ჰქონდა დავალებული, მნიშვნელოვანი შენიშვნების გაკეთების საშუალება მისცა. მაგ., კითხვებისა და პასუხების ფორმით წინასწარ მომზადდა სამი თავი და კონფირმანდების გაკვეთილზე მოხდა მისი ტესტირება. ტესტები ჩატარდა აფრიკაში, სადაც ეკლესიის წევრთა უმრავლესობა სახლში იმყოფება.

ამ ნაშრომის შედგენისას ყურადღება გამახილებულ იქნა, უპ. ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად კარგი საკითხავი იქნებოდა იგი. ამდენად, ეს ტექსტი შეიცავს მრავალ ბიბლიურ ციტატას დასრულებული სახით. ის მკითხველს იმ უპირატესობას სთავაზობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ბიბლია არ ექნება ხელთ, ბიბლიური ადგილების წაკითხვა შეძლოს. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის არის მნიშვნელოვანი, სადაც ყველას არა აქვს ბიბლია. ამდენად, ეს ნაშრომი მარტო ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრების გაცნობას კი არ ემსახურება, არამედ წმიდა წერილის იმ მნიშვნელოვან გამონათქვამებზეც უქმნის ადამიანს წარმოდგენას, რომელიც არსებითია ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრებისათვის. იმ ცნებების დეტალური განმარტება, რომლებიც ყველასათვის მარტივად გასაგები არ არის, ხდება იქ, სადაც ისინი პირველად სახელდება. იმისათვის, რომ ამ ნაშრომის გამოყენება ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოსთან კომბინაციაშიც შესაძლებელი იყოს, მისი სტრუქტურა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს დაყოფას შეესატყვისება. ამდენად „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე როგორც კატეხიზმოზე „სამუშაო წიგნი“. ამგვარად, ის იმ მიზანსაც ემსახურება, რომ მისი დამოუკიდებლად შესწავლის დროს კატეხიზმოს შინაარსი მისაწვდომი იყოს მკითხველისათვის.

ამ ნაშრომის შედგენის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ ტექსტის გაგებადობა და მასში წვდომის შესაძლებლობა დიდი ყოფილიყო. ამის მისაღწევად რამოდენიმე საშუალება იქნა გამოყენებული:

- ერთმანეთზე აწყობილ კითხვებსა და პასუხებს მკითხველი, შეიძლება ითქვას, ხელიხელჩაკიდებული შეჰყავს შინაარსში.
- იმისათვის, რომ მკითხველი ადვილად ჩასწვდეს ნაწილობრივ კომპლექსურ შინაარსებს, თემები მრავალრიცხოვან ცალკეულ კითხვებად და პასუხებად არის დაყოფილი. ამდენად, აზრობრივი მონაკვეთები შეიძლება მოკლედ იქნას ჩამოყალიბებული.
- ტექსტი, შეძლებისდაგვარად, მისაწვდომად არის ფორმულირებული, ნაკლებად არის რა გამოყენებული სპეციალური ტერმინები.
- მოვერიდეთ იმ აზრთა მსვლელობის ბოლო დეტალამდე განხილვას, რომელიც შესაბამის მოძღვრებით გამონათქვამამდე მიდის.
- კონკრეტულ ცნებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებები იქნა გაკეთებული, უფრო სწორად, ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოსთან მიმართებაში იქნა გაშლილი.

გემოვნებით შერჩეული სურათები შინაგანი შეჩერებისკენ გვიბიძგებს. ისინი ნაწილობრივ იმ ტექსტებს უსვამენ ხაზს, რომლებსაც მიესადაგებიან, ნაწილობრივ კი უბრალოდ ილუსტრაციებს წარმოადგენენ. ასე, დაბეჭდილი სურათი უფრო ცოცხლად გამოიყურება, რაც ხელს უწყობს იმას, რომ ტექსტი გაცილებით საინტერესო საკითხავი იყოს.

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი, რომელიც ინტენსიურად ადევნებდა თვალს მოცემული ნაშრომის - „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ - განვითარების პროცესს, ამ წიგნის შესავალში ასეთი სიტყვებით მიმართავს მკითხველს:„როგორც ‘ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო’, კატეხიზმოს ეს რედაქციაც მოწოდებაა ყველა ახალსამოციქულო ქრისტიანის მიმართ, რომ ინტენსიურად იმუშაონ მათი რწმენის შინაარსებზე. იგი ასევე ყველა დაინტერესებულ პირს ახალსამოციქულო რწმენის მოძღვრების გასაცნობად იწვევს. დაე, კურთხეულ იყოს ეს წიგნი გამოსაყენებლად!“

იმპრინტი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი
იუბერლანდსშტრასე 243, CH-8051 ციურიხი, შვეიცარია
გამომცემლობა ფრიდრიხ ბიშოფი, შპს.
გუტლოიტშტრასე 294, 60327 ფრანკფურტი/ მაინი, გერმანია
მთავარი რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი



ფოტო: ოლოვერ როუტენი

თავი 1: ღვთიური გამოცხადებანი

„ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ მეთოდურ-დიდაქტიკური ფორმით არის მომზადებული. 750 კითხვისა და პასუხის მეშვეობით მკითხველი მას, შეიძლება ითქვას, გამონათქვამიდან გამონათქვამამდე ხელიხელჩაკიდებული გადაჰყავს, რომლებიც ადვილი გასაგებია.

რაშია ღვთისადმი რწმენის დსაბამი?
ღვთისადმი რწმენის დასაბამი თავად ღმერთშია. ის ეცნაურება ადამიანებს: ის „ცხადდება“. იმის ცოდნა, რომ ღმერთი არსებობს, თავად ღმერთმა მისცა ადმიანებს. ღმერთი არ იმალება, ის ადამიანებს მისი შეცნობის საშუალებას აძლევს იმგვარად, რომ ისინი ლაპარაკობენ მასზე და შეუძლიათ იწამონ იგი.

„რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია მათთვის [ადამიანებისათვის] რადგანაც ღმერთმა განუცხადა მათ. და მართლაც, მისი უხილავი სრულყოფილება, წარუვალი ძალა და ღვთაებრიობა, ქვეყნიერების დასაბამიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება ...“ (რომ. 1, 19. 20).

როგორ ცხადდება ღმერთი?
ღმერთი სხვადასხვაგვარად ცხადდება ბუნებასა და ისტორიაში.

როგორ ცხადდება ღმერთი ბუნებაში?
ღმერთი ბუნებაში ცხადდება როგორც შემოქმედი: უნივერსუმის, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების არსებობაში.

„რწყავს მთებს თვისი ზესართულებიდან; შენთა საქმეთა ნაყოფით ძღება ქვეყანა. აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას - ადამიანის სამსახურბლად,რათა გამოიღოს პური მიწიდან ...“ (ფსალ. 103, 13. 14).

როგორ გვემცნაურება ღმერთი?
ღმერთი სულიერი არსია. ის გვემცნაურება როგორც ღმერთი

- მამა, შემოქმედი და შემოქმედების შემნარჩუნებელი (შევ. დაბ. 1; დაბ. 8, 21. 22);
- ძე, მხსნელი და ხსნის მომტანი (შევ. 1. იოან. 5, 20);
- სულიწმიდა, ნუგეშისმცემელი, რომელიც ყველა ჭეშმარიტებაში მიუძღვის ადამიანს (შევ. იოან. 16, 13).

სად არის დაფიქსირებული ღვთიური გამოცხადებანი?
ღვთიური გამოცხადებანი დაფიქსირებულია წმიდა წერილში. „ღვთიურ გამოცხადებებში“ რამოდენიმე პუნქტი გვესმის:
- ღმერთი გვემცნაურება;
- ღმერთი ადამიანებს მის ნებას ამცნობს;
- ღმერთი ადამიანს სიყვარულით ეგებება, უპირატესად თავის სიტყვასა და საიდუმლოებში.

კიდევ არსებობს სხვა შემეცნებანი ღვთის სქმეების შესახებ?
დიახ, სულიწმიდის მიერ, რომელიც მოციქულებზე ზემოქმედებს, ხდება შემეცნებისა და ცოდნის მინიჭება ღვთის საქმეების შესახებ, რომლებიც ადამიანთა ხსნას ემსახურება. მათზე ბიბლია მიუთითებს, სულიწმიდა კი ფართოდ შლის მათ.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ღვთიურ გამოცხადებებთან მიმართებაში?
ადამიანს უნდა სწამდეს ღვთისა და მისი გამოცხადებებისა. მხოლოდ რწმენის მეშვეობით შეუძლია ადამიანს ღვთიურ გამოცხადებებში წვდომა. თუ სწამს კაცს, მაშინ ღვთიური მისთვის ძვირფასი იქნება და მისი ცხოვრების განმსაზღვრელიც. ვისაც ღმერთი როგორც შემოქმედი არ სწამს, მისთვის კოსმოსი, მაგ., ღვთის საქმე კი არ არის, სადაც შემოქმედი გვემცნაურება, არამედ შემთხვევითი პროცესების შედეგია ბუნებაში.

როგორ მიდის ადამიანი რწმენამდე?
რწმენას სულიწმიდა გვანიჭებს და გვიძლიერებს. ეს, სხვათა შორის, სახარების ქადაგებით ხორციელდება, რომლის საფუძველსაც წმიდა წერილი წარმოადგენს.

„ამრიგად, რწმენა - მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა - ქრისტეს სიტყვისაგან“ (რომ. 10, 17).

რას წარმოადგენს წმიდა წერილი?
წმიდა წერილი - ბიბლია - წერილების კრებულია ღვთის საქმეების, აღთქმებისა და მცნებების შესახებ. იგი ძველი და ახალი აღთქმებისაგან შედგება. წმიდა წერილი ღვთის გამოცხადებებზე მოწმობს, თუმცა ის არ არის სრული და უზადო მონათხრობი ღვთის ყველა საქმის შესახებ. ღმერთმა იზრუნა იმაზე, რომ შემორჩენილიყო ის, რაც ადამიანთა ხსნისათვის არის მნიშვნელოვანი.

„ბიბლია“ წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგა და ნიშნავს „წიგნებს, გრაგნილებს“.

ვინ არის წმიდა წერილის ფუძემდებელი?
წმიდა წერილის ფუძემდებელი ღმერთია. ადამიანებმა, რომლებსაც სულიწმიდამ იმპულსი მისცა (მათი ინსპირირება მოახდინა), ჩაიწერეს ის, რასაც ღმერთი აცხადებდა. ფორმისა და გამოხატვის თვალსაზრისით ამ ბიბლიურ წიგნებს კონკრეტული ავტორებისა და სამყაროზე მათი წარმოდგენების, ასევე იმჟამინდელი გამოცდილების ბეჭედი აზის.

„ინსპირიაცია“„შთაგონებას“, ჩაგონებას“ ნიშნავს. ღვთიური ინსპირაცია ნიშნავს იმას, რომ სულიწმიდა ადამიანს რაღცასთან დაკავშირებით იმპულსს აძლევს ანუ რაღაცას გადასცემს.

სწორად არის გადმოცემული ბიბლიური წიგნების ტექსტები?
დიახ, ღმერთმა იზრუნა იმაზე, რომ ბიბლიური ტექსტები საუკუნეების მანძილზე გაუყალბებლად შემორჩენილიყო.

როგორ შეიქმნა ბიბლიური წიგნების ეს კრებული?
ბიბლიური წერილების ამ კრებულის შედგენა საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. მისი შედგენა მოხდა არა მარტო ადამიანური ნააზრევის წყალობით, არამედ, უპ. ყოვლისა, ღვთის ნების მიხედვით. ძველი აღთქმის ქრისტიანული კანონი იუდაიზმის ებრაულ კანონს ეფუძნება, რომლის წერილებიც სავარაუდოდ 1000 წლის განმავლობაში იქმნებოდა.

პიონერი სამხ. მოციქულის თანაშემწე ხდება

„ახალსამოციქულო ქრისტიანი მთელი გულით“, ასე აღწერს ერთ-ერთი კოლეგა მოციქულ ჟოაო მისელოს. 22 თებერვალს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა მას ანგოლაში სამოღვაწეოდ სამხ. მოციქულის თანაშემწეობა დაავალა. აი მიზეზი მცირე ექსკურსისათვის დროსა და ქვეყანაში.

ზემოთ: მოციქულ მისელოს ადგილობრივი თემის ბავშვები ესალმებიან

მართალია, ის დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება, მაგრამ ჟოაო მისელო მან არა მარტო ყველა სასულიერო წოდების საფეხურზე აიყვანა - დიაკვნიდან (1985 წ.) სამხ. უხუცესამდე (1994 წ.) -, არამედ, უპ. ყოვლისა, მასთან ერთად ჩამოაყალიბა ახალსამოციქულო ეკელსია ანგოლაში.

თანმიმდევრული ზრდა

„თვიდან მხოლოდ ორი მორწმუნე იყო“, ჰყვება პენსიაში მყოფი არმინ ბრინკმანი დასაწყისის შესახებ: „სამი ათწლეულის შემდეგ კი ახალსამოციქულო რწმენა დაახ. 250.000-მა კაცმა მიიღო.“ საოცარი სულაც არ არის, რადგან ახალსამოციქულო ეკლესიაში ღრმად მორწმუნე ადამიანები მოვიდნენ. პრინციპში ანგოლას ხანგრძლივი ქრისტიანული ტრადიციები აქვს. 500 წლის წინ პორტუგალიამ დასავლეთ აფრიკის ეს ქვეყანა კოლონიად აქცია და მისი ევანგელიზაცია მოახდინა. თანდათან ყოველ სოფელში არა ერთი ეკლესია დაფუძნდა. კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი კვალი დაამჩნია ასევე სასკოლო და განათლების სისტემას.

ახალსამოციქულო რწმენაც ხელგაშლით მიიღეს. აი, რას ჰყვება სამხ. მოციქული ბრინკმანი აღმოსავლეთ ანგოლაში მოგზაურობის შესახებ 1985 წლის აგვისტოში: „როცა დანიშნულების ადგილზე მივედით, საათების განმავლობაში განუწყვეტლივ გვიწევდა ღვთისმსახურებების ჩატარება. სულ უფრო მეტი ადამიანი მოდიოდა, გვისმენდა, ინათლებოდა და სულიწმიდით აღიბეჭდებოდა.

მარჯვ: სამხ. მოციქული რაინერ შტორკი ნორდ-რაინ-ვესტფალიისა და ანგოლის მოციქულებთან ერთად
ქვემოთ: მოციქულთა შეხვედრასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები ანგოლაში

ფოტო: ნორდ-რაინ-ვესტფალიის ახალსამოციქულო ეკლესია

საფრთხეები და დაბრკოლებები

ეს იყო დაბრკოლებებით სავსე მოგზაურობა: „საზღვრების გადალახვა შეუძლებელი იყო; 2002 წლამდე ყოველდღიურ ყოფას სამოქალაქო ომი განსაზღვრავდა.“ ქაოტური გარემოებების მიუხედავად იმჟამინდელმა სამხ. მახარებელმა მანუელ ედუარდო მბუტამ თვითმფრინავის ორი ბილეთის შოვნა მოახერხა. და გზაც მომავლი ერთმორწმუნე და-ძმებისკენ განთავისუფლდა.

მაგრამ ეს დრო მარტო თავგადასავლებით კი არ გამოირჩეოდა, არამედ საშიშიც იყო: ასე გახდნენ სამხ. მოციქული ბრინკმანი და ოთხი სხვა სასულიერო ძმა ყაჩაღების თავდასხმის მსხვერპლი 1989 წლის აგვისტოში, როცა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფებოდნენ. ამ დროს ზუკამი ლანდუ რონსარდი, ანგოლის პირველი ადგილობრივი მოციქული, ისე მძიმედ დაიჭრა, რომ გარდაიცვალა.

ანგოლა მეორე ნაბიჯს დგამს

მაგრამ ვერც ამ მტკივნეულმა დანაკარგმა დააყრევინა ფარ-ხმალი ადგილობრივ მღვდელმსახურებს მათ საქმიანობაში. მუდმივად იზრდებოდა თემებისა და ეკლესიის წევრთა რაოდენობა. ქვეყანაში, 2005 წელს, ხელმძღვანელობის დამატებითი რგოლიც კი გახდა საჭირო. მას მერე, ანგოლის რეგიონების ახალსამოციქულო ეკლესიების მუშაობის კოორდინირებას ე. წ. „მმართველი-მოციქულები“ - მანუელ ედუარდო მბუტა, ჟოაო მასელო და ალფონსო აველინო - ახდენენ. დღეს მზრუნველობას ახალსამოციქულო ქრისტიანებზე 2200-ზე მეტ თემში სულ 15 მოციქული და 10 ეპისკოპოსი ახორციელებს. და ეს ზრდა შენარჩუნებულია.

სამხ. მოციქულის თანაშემწის მოვალეობის დაკისრება

დადგა მეორე ეტაპის დრო: 22 თებერვალს პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი დედაქალაქ ლუანდას ესტუმრა და დანიშნა სამხ. მოციქულის თანაშემწე ლუანდისათვის. ამ დავალებისათვის შესაფერისი ადამიანი, როგორც მოქმედმა სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა თქვა, მოციქული მისელო იყო: „ის კარგად აფასებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და კარგი სასულიერო მზრუნველია. ის თავმდაბალია, მაგრამ იცის რა უნდა.“

„მისი ჰორიზინტი კი ქვეყნის ფარგლებს სცილდება“, დაუმატა წინამორბედმა სამხ. მოციქულმა ბრინკმანმა: „ისწავლეთ ინგლისური!“ ასე მოუწოდა მან თავის დროზე ძმებს პორტუგალიურენოვან ანგოლაში. „ერთადერთი, ვინც მაშინ ეს გააკეთა, ჟოაო მისელო იყო.“ ამან მას აფრიკისა და სხვა ინტერნაციონალური შემადგენლობის სამუშაო ჯგუფებში მუშაობის შესაძლებლობა მისცა.

სამხ. მოციქულის თანაშემწეობა ლოგიკური გადაწყვეტილებაა მზარდი ეკლესიისათვის ანგოლაში, ხაზი გაუსვა სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა: „მოციქული მისელო ჯერ არ არის 50 წლის. და ეს გადაწყვეტილება მომავლისათვის არის გამიზნული.“

პირველმოციქული შნაიდერი

ფოტო: საერთაშორისო ახ.ეკ.

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი

მოკლე ბიოგრაფია

ჟან-ლუკ შნაიდერი, ეროვნებით ფრანგი, დაიბადა 1959 წლის 18 სექტემბერს ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი) და უკვე 1959 წლის 11 ოქტომბერს სამხ. მოციქულმა შრეტიენ დობენმა სულიწმიდის მადლი მოჰფინა მას. რამდენადაც ჟან-ლუკ შნაიდერის მშობლები ახალსამოციქულო ქრისტიანები იყვნენ, ბავშვობიდან იგი ახალსამოციქულო რწმენით იზრდებოდა. ბავშვობა და ჭაბუკობა მშობლებთან და ორ უმცროს დასთან ერთად გაატარა ელზასში (საფრანგეთი).

მენეჯმენტის სპეციალობით უმაღლესის დამთავრებისა და ჯარში მსახურების შემდგ ის გაზის კომპანიაში მუშაობდა, მათ შორის გაყიდვების ხელმძღვანელად და ფინანსური განყოფილების უფროსად.

1980 წლის 10 იანვარს ის დიაკვნის თანაშემწედ აკურთხეს, 1985 წლის 24 ნოემბერს - მღვდლად, 1989 წლის 17 სექტემბერს - მახარებლად, 1993 წლის 1 იანვარს - მწყემსად, ხოლო 1993 წლის 14 ნოემბერს - სამხ. უხუცესად. ის იყო ჰოენჰაიმის (ელზასი) თემის წინამძღვარი და ახალგაზრდების ხელმძღვანელი. 2003 წლის 22 ივნისს პირველმოციქულმა ფერმა მას მოციქულის სასულიერო წოდება მიანიჭა და სამხ. მოციქულის თანაშემწეობა დაავალა.

2004 წლის 26 სექტემბრიდან ჟან-ლუკ შნაიდერი სამხ. მოციქულის რანგში მსახურობდა, ხელმძღვანელობდა საფრანგეთის რეგიონალურ ეკლესიას და სულიერად მზრუნველობდა სხვა რეგიონალურ ეკლესიებზეც, ისეთებზე, როგორიც არის ბურუნდი, ფრანგული პოლინეზია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხ. აღმოსავლეთი ნაწილი, ახალი კალედონია.

2012 წელს, ორმოცდაათობისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებაზე კიოლნში (გერმანია), პირველმოციქულმა ვილჰელმ ლებერმა იგი პირველმოციქულის თანაშემწედ დანიშნა.

სამხ. მოციქულის მოღვაწეობის სფერო მთლიანობაში მოიცავდა 1, 46 მილიონ წევრს, 9700 თემს, 45 მოციქულსა და 45000 მღვდელმსახურს.

პირველმოციქულის სასულიერო წოდება ჟან-ლუკ შნაიდერმა ორმოცდაათობისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებაზე მიიღო 2013 წლის 19 მაისს ჰამბურგში(გერმანია).როგორცმანთქვა,მისიპროგრამა „ახალსამოციქულო ეკლესიის კეტეხიზმოს“ პირველ გვერდზეა ჩამოყალიბებული: „ახალსამოციქულო ეკლესია - ეს არის ეკლესია, სადაც ადამიანები კარგად გრძნობენ თავს, და აღვსილნი სულიწმიდითა და ღვთისადი სიყვარულით, თავიანთ ცხოვრებას იესო ქრისტეს სახარებისამებრ წარმართავენ, ემზადებიან რა ამგვარად მისი მეორედ მოსვლისა და საუკუნო სიცოცხლისათვის“.

ჟან-ლუკ შნაიდერი დაქორწინებულია და ჰყავს ორი შვილი.

პროგრამა

2015 წლის 24 მაისი

ორმოცდაათობა

ლუსაკა/ზამბია

სურათი: 2014 წლის ორმოცდაათობა გერმანიაში

New Apostolic Church
International